

შპს „ბლექ სი რიზორტ“

ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბუკნარის
მიმდებარედ, სასტუმრო კომპლექსისთვის ჩამდინარე
წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობისა და
ექსპლუატაციის პროექტი

სკრინინგის ანგარიში

შემსრულებელი: შპს „გარემოსდაცვითი შეფასების ჯგუფი“

ტელ: +995 598 511 460

ელ. ფოსტა: envi.as.group@gmail.com

დირექტორი: გიორგი ლაცაბიძე

ქ. თბილისი

2025 წ.

სარჩევი

1. შესავალი.....	5
1.1 ზოგადი მიმოხილვა	5
1.2 საკანონმდებლო საფუძველი.....	8
1.2.1 საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა	10
1.2.2 საქართველოს გარემოსდაცვითი სტანდარტები.....	13
2. პროექტის აღწერა.....	16
2.1 პროექტის ადგილმდებარეობა	16
2.2 საპროექტო გამწმენდი ნაგებობა	18
2.3 სამშენებლო სამუშაოები.....	26
2.3.1 პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები მოიცავს მობილიზაციის ფაზას და მშენებლობის ფაზას	26
2.3.2 სამშენებლო ბანაკი	28
2.3.3 მისასვლელი გზები	28
2.3.4 ფუჭი ქანების განთავსება.....	28
2.3.5 წყალმომარაგება, სამეურნეო-ფეკალური და სანიაღვრე წყლების მართვის საკითხი	28
2.3.6 დასაქმებული პერსონალის რაოდენობა, სამუშაო დღეთა რაოდენობა, სამუშაო გრაფიკი	29
3. საპროექტო ტერიტორიის გარემოს ფონური მდგომარეობა.....	30
3.1 კლიმატი და მეტეოროლოგიური პირობები	30
3.2 გეოლოგიური გარემო	32
3.3 ბიოლოგიური გარემო.....	33
3.4 დაცული ტერიტორიები.....	34
3.5 კულტურული და არქეოლოგიური ძეგლების კვლევის შედეგები.....	35
4. ზემოქმედების შეფასება	36
4.1 გარემოზე ზემოქმედების შეფასების -ს მეთოდოლოგიის ზოგადი პრინციპები	36
4.1.1 ზემოქმედების რეცეპტორები და მათი მგრძნობიარობა.....	36
4.2 ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება	37
4.2.1 ზემოქმედების დახასიათება.....	37
4.3 ხმაურის გავრცელებით და ვიბრაციით გამოწვეული ზემოქმედება.....	38
4.3.1 ზემოქმედების დახასიათება.....	38
4.4 ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე	39
4.4.1 ზემოქმედების დახასიათება.....	39

4.5	ზემოქმედება ზედაპირულ წყლებზე.....	40
4.5.1	ზემოქმედების დახასიათება.....	40
4.6	ზემოქმედება მიწისქვეშა (გრუნტის) წყლებზე.....	41
4.6.1	ზემოქმედების დახასიათება.....	41
4.7	ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე.....	42
4.7.1	ზემოქმედების დახასიათება.....	42
4.8	ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება.....	42
4.8.1	ზემოქმედების დახასიათება.....	42
4.9	ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე, გრუნტის დაბინძურების რისკები	42
4.9.1	ზემოქმედების დახასიათება.....	42
4.10	ნარჩენების წარმოქმნით და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება	43
4.11	ზემოქმედება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე	44
4.11.1	ზემოქმედება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე	44
4.11.2	ბუნებრივი რესურსების გამოყენება	44
4.11.3	ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე.....	44
4.11.4	ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები.....	45
4.12	ზემოქმედება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე.....	46
4.12.1	ზემოქმედების დახასიათება.....	46
4.13	კუმულაციური ზემოქმედება.....	46
4.14	ზემოქმედება ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიაზე	47
4.15	ზემოქმედება ჭარბტენიან ტერიტორიებზე.....	47
4.16	საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი	47
4.17	ზემოქმედება შავი ზღვის სანაპირო ზოლზე	47
4.18	შესაძლო ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება.....	47
4.19	ზემოქმედება შესაძლო ხარისხზე და კომპლექსურობაზე.....	48
5.	გამოყენებული ლიტერატურა.....	49
დანართი 1.	ამონაწერი საჯარო რეესტრიდან - ს/კ: 20.46.06.455	50
დანართი 2.	ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან	52
დანართი 3.	შპს „ბლექს სი რიზორტ“-ს და შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“-ს შეთანხმების წერილი ხაზობრივი ნაგებობის ს/კ: 20.00.333 გადატანის თაობაზე	55

შპს „გარემოსდაცვითი შეფასების ჯგუფი“-ს და შპს „ბლექ სი რიზორთ“-ის შესახებ ძირითადი ინფორმაცია მოცემულია ცხრილი 1-ში.

ცხრილი 1. საკონტაქტო ინფორმაცია

პროექტის განმახორციელებელი	შპს „ბლექ სი რიზორთ“
საიდენტიფიკაციო კოდი	405177936
კომპანიის იურიდიული მისამართი	საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ნეკერჩხლის ქუჩა, N 6
კომპანიის დირექტორი	ირაკლი მატუა
საკონტაქტო პირი	თორნიკე მშვილდაძე
ელ. ფოსტა	tmshvildadze@lisi.ge
საკონტაქტო ნომერი	+995 595 08 93 89
დაგეგმილი საქმიანობის ტიპი	ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბუკნარის მიმდებარედ, სასტუმრო კომპლექსისთვის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტი
გარემოსდაცვითი საკონსულტაციო ორგანიზაცია	შპს „გარემოსდაცვითი შეფასების ჯგუფი“
საკონტაქტო პირი	გიორგი ლაცაბიძე
საკონტაქტო ტელეფონი	+995 598 511 460
ელ. ფოსტა	envi.as.group@gmail.com

ანგარიშში გამოყენებული აბრევიატურები

აბრევიატურა	განმარტება
სამინისტრო	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
სააგენტო	გარემოს ეროვნული სააგენტო
გზშ	გარემოზე ზემოქმედების შეფასება
ტ	ტონა
ჰა	ჰექტარი
მმ	მილიმეტრი
მ	მეტრი
კმ	კილომეტრი
ეგხ	ელექტრო გადამცემი ხაზი
კვ	კილოვოლტი
კვტ	კილოვატი

1. შესავალი

1.1 ზოგადი მიმოხილვა

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შპს „ბლექ სი რიზორთ“-ის მიერ (ს/კ: 405177936) ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბუკნარის მიმდებარედ, მშენებარე სასტუმრო კომპლექსისთვის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის ანგარიშს.

პროექტის მიზანია სასტუმრო „ბლექ სი რიზორთი“-ში წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების გაწმენდა და შემდგომ ჩაშვება მიმდებარედ არსებულ ღელეში.

პროექტით გათვალისწინებულია Biotop -ის გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, რომელიც წარმოადგენს წყალგაუმტარ პლასტმასის კონტეინერს და დამზადებულია SVT სპირალური მილის საფუძველზე (მასალა: პოლიეთილენი).


საპროექტო გამწმენდი ნაგებობის მოწყობა იგეგმება კომპანიის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე: ს/კ: 20.46.06.455, სადაც ასევე, მიმდინარეობს სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა.

გამწმენდი ნაგებობიდან გაწმენდილი წყლის ჩაშვება მოხდება PE - DN 160 მმ დიამეტრის მილის საშუალებით მიმდებარედ არსებულ ღელეში. საპროექტო მილის სიგრძე შეადგენს 35 მ-ს და განთავსდება მიწის ქვეშ.

სიტუაციური სქემა 1.1.1 საპროექტო არეალი



ტოპო 1.1.1 საპროექტო არეალი



1.2 საკანონმდებლო საფუძველი

წინამდებარე სკრინინგის ანგარიში მომზადებულია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მოთხოვნებიდან გამომდინარე, კერძოდ:

მოცემული პროექტი განეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 10.6 ქვეპუნქტით (ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია;) გათვალისწინებულ საქმიანობას და შესაბამისად ექვემდებარება ამავე კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის გავლას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მომზადდა წინამდებარე სკრინინგის ანგარიში, რომელიც წარდგენილი იქნება სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში სკრინინგის გადაწყვეტილების მისაღებად.

საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სააგენტოსთვის წარდგენილი სკრინინგის განცხადება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, უნდა შეიცავდეს:

ა) მოკლე ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ;

ბ) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების თაობაზე, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად), აგრეთვე ამ მუხლის მე-6 ნაწილით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად შესაძლო ზემოქმედების ხასიათის თაობაზე;

გ) ამ კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში – აგრეთვე ინფორმაციას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობისა და დაგეგმილი ცვლილებების შესახებ და აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე შესაძლო ზემოქმედების თაობაზე. თუ იცვლება ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალაღების ან/და ზედაპირული წყლის ობიექტში წყალჩაშვების პირობები ან/და საჭიროა ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალაღება – „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას.

სააგენტო სკრინინგის განცხადების რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში უზრუნველყოფს ამ განცხადების გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსებას, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში – მისი ნაბეჭდი ეგზემპლარის ან ელექტრონული ვერსიის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ხელმისაწვდომობას. საზოგადოების წარმომადგენლებს უფლება აქვთ, სკრინინგის განცხადების გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსებიდან 7 დღის ვადაში სააგენტოს ამ კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით წარუდგინონ მოსაზრებები და შენიშვნები აღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით. სააგენტო იხილავს საზოგადოების წარმომადგენელთა მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებსა და შენიშვნებს და შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში ითვალისწინებს მათ სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბუკნარის მიმდებარედ, სასტუმრო კომპლექსისთვის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტი

სკრინინგის პროცედურის განხორციელებისას სკრინინგის გადაწყვეტილების ან ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად ამ კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილებით გათვალისწინებული ინფორმაციის არარსებობის ან/და დოკუმენტაციაში მნიშვნელოვანი შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში სააგენტო სკრინინგის განცხადების ამ მუხლის შესაბამისად განთავსებიდან არაუგვიანეს 8 დღისა იღებს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

სააგენტო სკრინინგის განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 10 დღისა და არაუგვიანეს 15 დღისა ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს, ხოლო ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ სკრინინგის განცხადების შემთხვევაში – გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა ცვლილება ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გზშ-ის ანგარიშის წარდგენას, შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:

ა) საქმიანობის მახასიათებლები:

ა.ა) საქმიანობის მასშტაბი;

ა.ბ) არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება;

ა.გ) ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება;

ა.დ) ნარჩენების წარმოქმნა;

ა.ე) გარემოს დაბინძურება და ხმაური;

ა.ვ) საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი;

ბ) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა:

ბ.ა) ჭარბტენიან ტერიტორიასთან;

ბ.ბ) შავი ზღვის სანაპირო ზოლთან;

ბ.გ) ტყით დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები;

ბ.დ) დაცულ ტერიტორიასთან;

ბ.ე) დასახლებულ ტერიტორიასთან;

ბ.ვ) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლსა და სხვა ობიექტთან;

ბ.ზ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ლანდშაფტურ, სარეკრეაციო და სატყეო ტერიტორიებთან (ზონებთან);

გ) საქმიანობის შედეგად გარემოზე შესაძლო ზემოქმედება:

გ.ა) ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი;

გ.ბ) ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბუკნარის მიმდებარედ, სასტუმრო კომპლექსისთვის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტი

სააგენტო სკრინინგის პროცედურის დასრულებიდან 1 დღის ვადაში ამის შესახებ აცნობებს განმცხადებელს და 5 დღის ვადაში უზრუნველყოფს სკრინინგის გადაწყვეტილების გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსებას, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში – მისი ნაბეჭდი ეგზემპლარის ან ელექტრონული ვერსიის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ხელმისაწვდომობას.

1.2.1 საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა

წინამდებარე სკრინინგის ანგარიში მოზადებულია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მოთხოვნების შესაბამისად. გარდა ამისა, სკრინინგის პროცესში გათვალისწინებული იქნა საქართველოს სხვა გარემოსდაცვითი კანონები. საქართველოს გარემოსდაცვითი კანონების ნუსხა მოცემულია ცხრილში 1.2.1.1 და ცხრილში 1.2.1.2.

ცხრილი 1.2.1.1. საქართველოს გარემოსდაცვითი კანონების ჩამონათვალი

მიღების წელი	კანონის დასახელება	სარეგისტრაციო კოდი	საბოლოო ვარიანტი
1994	საქართველოს კანონი ნიადაგის დაცვის შესახებ	370.010.000.05.001.000.080	02/11/2021
1994	საქართველოს კანონი საავტომობილო გზების შესახებ	310.090.000.05.001.000.089	15/07/2020
1995	საქართველოს კონსტიტუცია	010.010.000.01.001.000.116	29/06/2020
1996	საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ	360.000.000.05.001.000.184	28/06/2023
1996	საქართველოს კანონი ცხოველთა სამყაროს შესახებ	410.000.000.05.001.000.186	29/06/2023
1999	საქართველოს კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ	420.000.000.05.001.000.595	16/06/2023
2020	საქართველოს ტყის კოდექსი	390000000.05.001.019838	30/11/2023
2003	საქართველოს წითელი ნუსხის და წითელი წიგნის შესახებ	360.060.000.05.001.001.297	30/11/2023

ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბუკნარის მიმდებარედ, სასტუმრო კომპლექსისთვის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტი

2003	საქართველოს კანონი ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ	370.010.000.05.001.001.274	30/06/2023
2005	საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ	300.310.000.05.001.001.914	19/07/2024
2000	საქართველოს კანონი „საქართველოს ზღვის წყალსატევების და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ“	400.010.010.05.001.000.830	15/07/2020
2007	საქართველოს კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ	470.000.000.05.001.002.920	30/11/2023
2007	საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ	450.030.000.05.001.002.815	30/11/2023
2014	ნარჩენების მართვის კოდექსი	360160000.05.001.017608	21/02/2024
2017	საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“.	360160000.05.001.018492	30/11/2023

ცხრილი 1.2.1.2 საქართველოს არსებული გარემოსდაცვითი კანონდებლობა

საქართველოს ველური ფლორისა და ფაუნის კონსერვაციას სამართლებრივად არეგულირებს საქართველოს პარლამენტის მიერ 1994-2011 წლებში მიღებული რამდენიმე საკანონმდებლო აქტი. მნიშვნელოვანია საქართველოს პრეზიდენტის დადგენილება № 303 (2 მაისი 2006) „საქართველოს წითელი ნუსხის დამტკიცების შესახებ“.

კანონი	თარიღი
კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ	07. 03. 1996
კანონი ნორმატიული აქტების შესახებ	22. 10. 2009
კანონი გარემოსდაცვითი ლიცენზიების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე	01. 06. 2017
კანონი კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ	09. 12. 1998
საქართველოს ტყის კოდექსი	22. 05. 2020

ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ	10. 11. 2000
---	--------------

საქართველოს მთავრობის მიერ ხელმოწერილია მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონვენციები და მრავალმხრივი ხელშეკრულებები:

- ველური ბუნების ფაუნისა და ფლორის საფრთხეში მყოფი სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის კონვენცია (CITES 1975; universal)
- კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ (Convention on Biological Diversity 1992; universal);
- ევროკავშირის დირექტივა ჰაბიტატების შესახებ (European Union Habitats Directives 1992; regional);
- რამსარის კონვენცია საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების, განსაკუთრებით წყლის ფრინველების, შესახებ (Ramsar Convention on Wetlands of International Importance Especially as Waterfowl Habitat--Ramsar Convention; 1975; universal);
- კონვენცია მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ (World Heritage Convention; 1972; universal);
- გაერთიანებული ერების ჩარჩო-კონვენცია კლიმატის ცვლილების შესახებ (United Nations Framework Convention on Climate Change 1994; universal) და კიოტოს პროტოკოლი (Kyoto Protocol მიღებულია 1997, ჯერ არ არის ძალაში);
- კონვენცია ევროპის ველური ბუნების და ბუნებრივი ჰაბიტატების შესახებ (Convention on the conservation of European Wildlife and natural Habitats 1979);
- კონვენცია ევროპის ლანდშაფტების შესახებ (European Landscape Convention 2000).

1.2.2 საქართველოს გარემოსდაცვითი სტანდარტები

წინამდებარე სკრინინგის ანგარიშის დამუშავების პროცესში გარემო ობიექტების (ნიადაგი, წყალი, ჰაერი) ხარისხის შეფასებისათვის გამოყენებული შემდეგი გარემოსდაცვითი სტანდარტები (იხ. ცხრილი 1.2.2.1.):

ცხრილი 1.2.2.1. გარემოსდაცვითი სტანდარტების ნუსხა

მიღების თარიღი	ნორმატიული დოკუმენტის დასახელება	სარეგისტრაციო კოდი
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №425 დადგენილებით.	300160070.10.003.017650
03/01/2014	ტექნიკური რეგლამენტი - „არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში ატმოსფერული ჰაერის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №8 დადგენილებით.	300160070.10.003.017603
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №408 დადგენილებით.	300160070.10.003.017622
06/01/2014	ტექნიკური რეგლამენტი - „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №42 დადგენილებით.	300160070.10.003.017588
03/01/2014	გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტი - დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №17 დადგენილებით.	300160070.10.003.017608
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდიკა“, დამტკიცებულია	300160070.10.003.017660

ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბუკნარის მიმდებარედ, სასტუმრო კომპლექსისთვის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტი

	საქართველოს მთავრობის №435 დადგენილებით.	
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №423 დადგენილებით.	300160070.10.003.017645
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „კარიერების უსაფრთხოების შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №450 დადგენილებით.	300160070.10.003.017633
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „ნიადაგის ნაყოფიერების დონის განსაზღვრის“ და „ნიადაგის კონსერვაციისა და ნაყოფიერების მონიტორინგის“ დებულებები, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №415 დადგენილებით.	300160070.10.003.017618
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №424 დადგენილებით.	300160070.10.003.017647
15/01/2014	ტექნიკური რეგლამენტი - „სამუშაო ზონის ჰაერში მავნე ნივთიერებების შემცველობის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №70 დადგენილებით.	300160070.10.003.017688
15/01/2014	ტექნიკური რეგლამენტი - სასმელი წყლის შესახებ დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №58 დადგენილებით.	300160070.10.003.017676
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „წყალდაცვითი ზოლის შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №440 დადგენილებით.	300160070.10.003.017640
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „საქართველოს მცირე მდინარეების წყალდაცვითი ზოლების (ზონების) შესახებ. დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის N445 დადგენილებით.	300160070.10.003.017646
03/01/2014	ტექნიკური რეგლამენტი - „წყლის სინჯის აღების სანიტარიული წესების შესახებ“ დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №26 დადგენილებით.	300160070.10.003.017615
13/08/2010	„ტყის მოვლისა და აღდგენის წესის შესახებ“. დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №241 დადგენილებით.	

ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბუკნარის მიმდებარედ, სასტუმრო კომპლექსისთვის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტი

18/05/2021	„ტყითსარგებლობის წესის შესახებ“. დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №221 დადგენილებით.	390000000.10.003.022776
17/02/2015	„საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესი“.	040030000.10.003.018446

2. პროექტის აღწერა

2.1 პროექტის ადგილმდებარეობა

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბუკნარის მიმდებარედ და წარმოადგენს კომპანიის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს (ს/კ: 20.46.06.455).

საპროექტო გამწმენდი ნაგებობიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს ჩრდილოეთით, დაახლოებით 58 მ-ის დაშორებით. გამწმენდ ნაგებობას დასავლეთით ესაზღვრება შავი ზღვის სანაპირო ზოლი.

Napr.Maps.gov.ge-ის მონაცემების მიხედვით საპროექტო გამწმენდი ნაგებობის უშუალო სიახლოვეს მდებარეობს შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“-ს საკუთრებაში არსებული გაზსადენი (ს/კ: 20.00.333). არსებული მდგომარეობით შპს „ბლექ სი რიზორტ“-ის მიერ შესაბამისი ნებართვის საფუძველზე მოხდა აღნიშნული ხაზობრივი ნაგებობის გადატანა არსებული საავტომობილო გზის მხარეს, ისე რომ საპროექტო ტერიტორია აღარ ხვდება აღნიშნული ხაზობრივი ნაგებობის დაცვის ბუფერში (იხ. დანართი 3).

საპროექტო ტერიტორიამდე მიდის ბეტონით მოპირკეთებული საავტომობილო გზა.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბუკნარის მიმდებარედ, სასტუმრო კომპლექსისთვის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტი

სიტუაციური სქემა 2.1.1 საპროექტო ინფრასტრუქტურის განთავსება



2.2 საპროექტო გამწმენდი ნაგებობა

პროექტით გათვალისწინებული გამწმენდი ნაგებობა წარმოადგენს წყალგაუმტარ პლასტმასის კონტეინერს, რომელიც დამზადებულია SVT სპირალური მილის საფუძველზე. მასალა: პოლიეთილენი.

საპროექტო გამწმენდი ნაგებობის მოწყობილობები შედგება 2 პარალელურად განლაგებული ჰორიზონტალური რეზერვუარისგან, დიამეტრით 2200 მმ და სიგრძით 13000 მმ თითოეული. მათ წინ დგას ვერტიკალური ჰა ცხურით დიამეტრით 1400 მმ. ჰიდან გამოსასვლელზე განთავსდება ფილტრი დიამეტრით 1400 მმ. ყველა გრავიტაციული მილსადენი მოთავსებული იქნება პოლიეთილენის მილებში დიამეტრით 160 მმ. ყველა დაწნული მილსადენი მოთავსებული იქნება პოლიეთილენის მილებში დიამეტრით 50 მმ.

საპროექტო გამწმენდი ნაგებობა განთავსდება 132.5 მ² ფართობზე. გამწმენდის წარმადობა შეადგენს 70 მ³/დღე-ში. ენერგომოხმარება არ აღემატება 12 კვტ (190 მ³ - ზე იქნება არაუმეტეს 26 კვტ).

ცხრილი 2.2.1 გამწმენდი ნაგებობის განთავსების კოორდინატები

N	X	Y
1	229040.1528	4627596.3996
2	229041.6864	4627596.1876
3	229044.0333	4627590.8944
4	229043.8622	4627589.6561
5	229043.6568	4627588.1703
6	229042.9311	4627582.9202
7	229042.6641	4627580.9886
8	229041.3364	4627577.7303
9	229038.6407	4627576.2024
10	229037.3779	4627576.3502
11	229035.3930	4627578.5518
12	229034.8583	4627582.0675
13	229035.1253	4627583.9991
14	229035.8510	4627589.2492
15	229036.0564	4627590.7351
16	229036.2275	4627591.9733
WGS 1984 UTM Zone 38 N		

ტექნოლოგიური პროცესი

საპროექტო გამწმენდ ნაგებობაში ჩამდინარე საკანალიზაციო ნაკადი პირველ რიგში გადის მექანიკურ წმენდას. წყალი ხვდება პოლიეთილენის ჭაში, რომელიც აღჭურვილია ცხაურით. აღნიშნული ეტაპი უზრუნველყოფს მსხვილი ნარჩენების (მაგალითად, პირბადეები, პლასტმასა, ტოტები, სველი საღვეთები და სხვა მსგავსი შენარევები) მოცილებას, კერძოდ: მიღებული დაბინძურებული მასალები მექანიკურად იწმინდება.

ცხაურის შემდეგ საკანალიზაციო წყალი შედის აერაციით აღჭურვილ არეში, სადაც ხდება ნაკადის ჰიდრავლიკური სტაბილიზაცია და შემადგენლობის რეგულირება შემდგომი გამწმენდი ეტაპებისთვის. აერაცია ხელს უშლის წყლის დაგუბებას, ცხიმის ამოტივტივებას და სუნის გაჩენას, ასევე უწყობს ხელს ორგანული ნაერთების საწყის ოქსიდაციას.

შემცირებულ არეში საკანალიზაციო წყლები ნასვრეტებით მიეწოდება ტუმბოებს, რომლებიც აღჭურვილია მჭრელი ელემენტებით და უზრუნველყოფენ ნაკადთან შემავალი ნივთიერებების დაქუცმაცებას, რაც შემდეგ ეტაპებზე იცავს გამწმენდ ნაგებობას მიღების გაბინძურებისგან და სხვა რისკულ ფაქტორებიდან.

შემდეგ საკანალიზაციო წყლები შედიან დენიტრიფიკატორში მიქსერით. ამ ზონაში ანაერობული ან ანოქსიური პირობების ქვეშ ხდება ბიოლოგიური დენიტრიფიკაცია — ნიტრატების გაზურ აზოტად გარდაქმნა. მიქსერი უზრუნველყოფს საკანალიზაციო წყლების და აქტიური ლამის ერთგვაროვან შერევას პროცესის ეფექტიანობის ასამაღლებლად. გამოიყენება წინასწარი დენიტრიფიკაციის პროცესი (სადენას საკანალიზაციო წყლები), რეცირკულირებას ახდენენ აეროლიფტები.

დენიტრიფიკაციის შემდეგ საკანალიზაციო წყლები მიდიან აეროტენკ-ნიტრიფიკატორში, სადაც მიმდინარეობს ორგანული ნივთიერებების აქტიური ლამის ბიოლოგიური ოქსიდაცია და ნიტრიფიკაციის პროცესი — ამონიუმის აზოტის ნიტრატებად გადაქცევა ჟანგბადის არსებობის პირობებში.

აეროტენკიდან წყალი და აქტიური ლამი მიედინება მეორად ფანჯარაში, სადაც ხდება აქტიური ლამის და გაწმენდილი წყლის განცალკევება. ნაწილი ლამის ბრუნდება აეროტენკში, ხოლო ზედმეტი იწმინდება შემდგომი დამუშავებისთვის.

დამატებითი ორგანული ნივთიერებების და აზოტის შემცველი ნაერთების მოშორების მიზნით გამოიყენება შემდგომი გაწმენდის ზონა ბიოტვირთვით. ტვირთის ზედაპირზე ფორმირდება ბიოფილტრაცია, რომელიც უზრუნველყოფს დამატებით ბიოოქსიდაციას.

აეროტენკიდან გამოსვლისას ხდება კოაგულანტის დოზირება, ფოსფატების მოშორების მიზნით. კოაგულანტი უკავშირებს ფოსფორის ხსნად ნაერთებს, ხელს უწყობს ფოსფატების ჩამოყალიბებას, რომლებიც ჯდება ფილტრატზე.

შემდეგ საკანალიზაციო წყალი გადის სორბციულ ფილტრაციას, სადაც ასევე, აქტიურად ხდება შეწონილი ნაწილაკების და ნარჩენი ფოსფორის შემცველი ნივთიერებების მოცილება.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბუკნარის მიმდებარედ, სასტუმრო კომპლექსისთვის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტი

საბოლოო ეტაპზე წყალი იწმინდება ულტრაიისფერი ნათურით. ულტრაიისფერი დამუშავება უზრუნველყოფს პათოგენური მიკროფლორის განადგურებას და ქმნის ეპიდემიოლოგიურად უსაფრთხო პირობებს გაწმენდილი წყლის ჩაშვებამდე.

არჩეული ტექნოლოგიური სქემა ეფექტურად აერთიანებს მექანიკურ, ბიოლოგიურ და ფიზიკურ-ქიმიურ გაწმენდას. ნიტრიფიკაციისა და დენიტრიფიკაციის ეტაპების თანმიმდევრობა უზრუნველყოფს აზოტის ნაერთების ღრმა მოცილებას, ხოლო ბიოტვრითით გაძლიერებული ბიოლოგიური გაწმენდა ზრდის ორგანული და აზოტიანი ნაერთების მოცილების ხარისხს. კოაგულანტის გამოყენება ეფექტურია ფოსფორის მოცილებისთვის და ხელს უშლის წყალსაცავების ევტროფიკაციას. სორბციული ფილტრი უზრუნველყოფს დამატებით გამფანტველი ნივთიერებების მოცილებას, ხოლო ულტრაიისფერი დამუშავება — ეპიდემიოლოგიურ უსაფრთხოებას. სქემა სრულად პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს ძირითადი დაბინძურებების ნორმატიული მაჩვენებლების უზრუნველყოფის მხრივ.

ავარიული დიდი ოდენობის საკანალიზაციო წყლების შესვლის ან ელექტროენერგიის გათიშვის შემთხვევაში წყალი თავისუფალ დინებით გადის მოწყობილობებზე. შემცირებული არე და პომპები აღჭურვილია გადმოღვრილი სამონტაჟო მილით. გადმოვარდნის შემთხვევაში ზედმეტი მოცულობა თავისუფალ დინებაში გადაეცემა აეროტენკში. მოცულობის გადაცდომა 3-5 საათის განმავლობაში არ მოახდენს ნეგატიურ ზეგავლენას. წმენდითი სისტემები გააგრძელებენ მუშაობას ნაკადის მიღებაზე ელექტროენერგიის გარეშე. ელექტროენერგიის არარსებობა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 2 დღისა. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი რომ სასტუმრო ტერიტორიაზე განთავსებული იქნება დიზელის გენერატორი ავარიული სიტუაციებისთვის, შესაბამისად გამწმენდი ნაგებობის ელექტროენერგიის მომარაგებისათვის არ იქნება შემაფერხებელი ფაქტორი.


გამწმენდი ნაგებობის პარამეტრები:

- BOD₅ (ჟანგბადის ბიოლოგიური მოხმარება) — 200–400 მგ/ლ ≤ 25 მგ/ლ;
- COD (ჟანგბადის ქიმიური მოხმარება) — 400–600 მგ/ლ ≤ 125 მგ/ლ;
- მიმდინარე ნივთიერებები (TSS) — 200–400 მგ/ლ ≤ 65 მგ/ლ;
- ამონიუმი (NH₄⁺-N) — 30–50 მგ/ლ ≤ 5 მგ/ლ;
- ფოსფორი (TP) — 5–10 მგ/ლ ≤ 2 მგ/ლ;
- E. coli — ≤ 100 კუო/100 მლ;
- pH — 6,5–8,5 6,0–9,0;
- ცხიმები — 0–25 მგ/ლ ფილის არარსებობა;
- ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები — 0–15 მგ/ლ ≤ 5 მგ/ლ

ცხრილი 2.2.2

№	პარამეტრების დასახელება	საზომი ერთეული	დასაშვები მნიშვნელობები
1.	ჩადინების ტემპერატურა	°C	10 - 40
2.	P _H		6.5 - 8.5
3.	ჟბმს-ჟანგბადის ბიოლოგიური მოთხოვნილება სრული	მგ/ლ	100 - 300
4.	ჟბმ ₅	მგ/ლ	100 - 250
5.	ჟქმ – ჟანგბადის ქიმიური მოთხოვნილება	მგ/ლ	100 - 400
6.	შ.ნ. – შეწონილი ნაწილაკები	მგ/ლ	0 - 300
7.	N – ამონიის აზოტი NH ₄ -N	მგ/ლ	5 - 45
8.	P – ფოსფორი (ფოსფატებიP)	მგ/ლ	1 - 8
9.	სზან ანოინურები (ჟანგვადი)	მგ/ლ	0 - 3.5
10.	ცხიმები	მგ/ლ	0 - 25

ნახაზი 2.2.1 ტექნოლოგიური პროცესი



+995 32 2 193 310
office@biotop.ge
www.biotop.ge

1.	მიღები ჰა ცხაური
2.	გამასაშუალოდობელი
2.1	წყალქვეშა მიქსერი
2.2	ტუმბოები მჭრელი ელემენტით
2.3	ტივტივა
3.	ჰარბი ლამის განყოფილება
3.1	აერატორი
4.	დენიტრიფიკაციის განყოფილება
4.1	წყალქვეშა მიქსერი
5.	ნეტრიფიკაციის განყოფილება
5.1	ბიოფილტრის ბლოკი
6.	მეორადი სალექარი
6.1	ჰარბი ლამის ტუმბო
7.	მეორე ბლოკის ბიოფილტრი
8.	მესამე ბიოფილტრი
8.1	ლამის გადამქაჩი ტუმბო
9.	კომპრესორები აერაციისთვის
10.	შემდგომი გადამუშავება
10.1	სორბციის ფილტრაციის ბლოკი
10.2	ულტრაიისფერი ნათურა
10.3	კოაგულიანტის დოზირების სადგური
11.	ელექტრო მართვის ფარი

a.	საშუალო ნაკადის მიწოდება
b.	ავარიული გადანღვრა
c.	ნიტრატის გადამუშავება
d.	დაბრუნებული წალექის გადამუშავება
e.	ჭარბი ღამი
f.	ჰაერი
g.	ცოგულიანტი
h.	ნაგვის უტილიზაცია
i.	ლამის მოცილება

[illegible]

ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბუკნარის მიმდებარედ, სასტუმრო კომპლექსისთვის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტი


გამწმენდი ნაგებობიდან გაწმენდილი წყალი PE - DN 160 მმ დიამეტრის მილის საშუალებით ჩაეშვება ჩრდილო-აღმოსავლეთით გამავალ დელეში, შემდეგ კოორდინატებზე: X - 229069.0062; Y - 4627617.7364; საპროექტო მილის სიგრძე შეადგენს 35 მ-ს და განთავსდება მიწის ქვეშ. აღნიშნული მილის მოწყობის სამუშაოები განხორციელდება ხელით. პროექტით მილის განთავსებისას არსებული მრავალწლიანი ხე-მცენარეული საფარის გარემოდან ამოღება არ იგეგმება.

აღნიშნული დელე, დაახლოებით 95 მეტრში უერთდება შავ ზღვას, შემდეგ კოორდინატებზე: X - 228996.7001; Y - 4627654.4041;

გამწმენდი ნაგებობიდან წყალჩაშვების მილის დერეფანის უმეტესი ნაწილი ხვდება კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, ხოლო დაახლოებით 6.4 მ-ის სიგრძეზე (დელეში ჩაშვებამდე) სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, რაზეც სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე მოხდება შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება სსიპ ქონების ეროვნულ სააგენტოსთან.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბუკნარის მიმდებარედ, სასტუმრო კომპლექსისთვის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტი

სურ 2.2.1-2.2.2 არსებული ღელე და წყალჩაშვების ადგილი



ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბუკნარის მიმდებარედ, სასტუმრო კომპლექსისთვის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტი



2.3 სამშენებლო სამუშაოები

2.3.1 პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები მოიცავს მობილიზაციის ფაზას და მშენებლობის ფაზას

მობილიზაციის ფაზა მოიცავს საპროექტო ტერიტორიისა და მისასვლელი გზების ვიზუალურ შეფასებას ასევე სამშენებლო ტერიტორიაზე საჭირო ტექნიკისა და სამშენებლო მასალების მიტანას, ინფრასტრუქტურის დალაგება/დასაწყობებას. საჭირო აღჭურვილობის და მასალების მომარაგებას და მუშახელის დაქირავებას. მობილიზაციის ფაზა დაახლოებით ერთ თვეს გასტანს.

მშენებლობის ფაზა

მშენებლობის ფაზა მოიცავს საპროექტო ტერიტორიაზე პროექტის განხორციელების მიზნით ნებისმიერი სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას, მათ შორის პროექტით განსაზღვრული ინფრასტრუქტურის განთავსებას ან განთავსების მიზნით მიწის სამუშაოების შესრულებას. საპროექტო გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე სპეციალური სამშენებლო ბანაკის მოწყობა დაგეგმილი არ არის. აღნიშნული სამშენებლო უბანი მოეწყობა იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს ცალკეულ ტერიტორიებთან დაკავშირებული სამუშაოების ერთდროულად განხორციელება.

არსებული გეგმის თანახმად, მშენებლობის ეტაპი გაგრძელდება მაქსიმუმ 4 თვის განმავლობაში. სამშენებლო სამუშაოების დროს დასაქმებული იქნება დაახლოებით 5-6 ადამიანი, ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობა.

ცხრილი 2.3.1.2.1 გამწმენდი ნაგებობის მოწყობის ეტაპზე გამოყენებული სამშენებლო და საავტომობილო ტექნიკის სახეობები და რაოდენობა:

	დასახელება	რაოდენობა
1	ექსკავატორი (25ტ)	1
2	ბულდოზერი (D6)	2
3	სატკეპნი (14,5ტ)	2
4	ამწე (25ტ)	1
5	პლატფორმა 6x6	1

ცხრილი 2.3.1.2.1 საპროექტო გამწმენდი ნაგებობის სამშენებლო სამუშაოთა გეგმა-გრაფიკი

#	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხანგრძლივობა,
---	---------------------	------------------------

ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბუკნარის მიმდებარედ, სასტუმრო კომპლექსისთვის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტი

		თვე			
		11/2025	12/2025	01/2026	02/2026
1	მოსამზადებელი სამუშაოები				
2	გამწმენდი ნაგებობის მოწყობის სამუშაოები				
3	წყალჩაშვების მილის მოწყობის სამუშაოები და ექსპლუატაციაში გაშვება				
4	დემობილიზაცია				

2.3.2 სამშენებლო ბანაკი

პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე დამოუკიდებელი სამშენებლო ბანაკის ან/და საცხოვრებელი კონტეინერების მოწყობა არ იგეგმება. აღნიშნულს განაპირობებს სამშენებლო სამუშაოების მოკლე პერიოდი 4 თვე. საჭირო სამშენებლო მასალების მცირე რაოდენობა და დასაქმებული პერსონალის სიმცირე, რომლებიც ძირითადად ადგილობრივი მაცხოვრებლები იქნებიან.

პროექტით გათვალისწინებული პერსონალის განთავსება მოხდება უახლოეს დასახლებულ პუნქტში, სოფ. ბუკნარში რაც ერთის მხრივ ამცირებს ბანაკის მოწყობის ხარჯებს, ხოლო მეორეს მხრივ დადებითი ეკონომიკური ზემოქმედება აქვს ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის.

2.3.3 მისასვლელი გზები

საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელად გამოიყენება არსებული საავტომობილო გზა.

პროექტით არ არის გათვალისწინებული დამატებითი მისასვლელი გზების მოწყობა.

2.3.4 ფუჭი ქანების განთავსება

საპროექტო გამწმენდი ნაგებობის მოწყობის პროცესში ფუჭი ქანების წარმოქმნა მოხდება გამწმენდის სამიწკვლის და წყალჩაშვების ტრანშეის მოწყობის დროს. ამოღებული გრუნტი დასაწყობდება სამუშაო მოედნის პერიმეტრზე ტრანშეის გვერდზე შესაბამისი წესების დაცვით და შემდგომში სრულად იქნება გამოყენებული უკუყრილის სამუშაოებისთვის. შესაბამისად, პროექტით არ იგეგმება ექსკავირებული გრუნტის სამართავად სანაყაროს მოწყობა.

2.3.5 წყალმომარაგება, სამეურნეო-ფეკალური და სანიაღვრე წყლების მართვის საკითხი

საპროექტო სამშენებლო სამუშაოების შესრულების პროცესში საჭირო იქნება წყლის გამოყენება მხოლოდ სასმელად, რომელიც ტერიტორიაზე შემოტანილი იქნება ბუტილირებული სახით.

მშენებლობისთვის საჭირო მასალებისა და კონსტრუქციების დამზადება მოხდება ქარხნულად და შემოტანილი იქნება სამშენებლო მოედანზე მზა სახით. შესაბამისად, ტექნიკური საჭიროებისთვის წყლის გამოყენება არ მოხდება.

სამეურნეო-ფეკალური წყლების შეგროვებისათვის მოეწყობა 2 მ³ მოცულობის ჰერმეტიკული მიწისქვეშა (ბეტონის) საასენიზაციო ორმო, რომლის დაცლა განხორციელდება შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბუკნარის მიმდებარედ, სასტუმრო კომპლექსისთვის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტი

2.3.6 დასაქმებული პერსონალის რაოდენობა, სამუშაო დღეთა რაოდენობა, სამუშაო გრაფიკი

პროექტით დაგეგმილია სამშენებლო სამუშაოების განხორციელება მაქსიმუმ 4 თვის განმავლობაში.

ამ პერიოდში დასაქმებული იქნება დაახლოებით 5-6 მუშა-პერსონალი, ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობა.

სამუშაოები იწარმოებს მხოლოდ დღის საათებში, 8 საათიანი სამუშაო გრაფიკით.

სამუშაო საათები: 10:00 – 18:00

დაქირავებული მუშახელი დაბინავებული იქნება საოჯახო სასტუმროებში ან ნაქირავებ სახლებში.

ექსპლუატაციის ეტაპზე დასაქმებული იქნება დაახლოებით 2-4 ადამიანი.

ექსპლუატაციის ეტაპზე მომსახურე პერსონალი მუდმივად არ იქნება წარმოდგენილი ობიექტზე. საჭიროების შემთხვევაში მოხდება ობიექტის სპეციალისტის მიერ დათვალიერება და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა.

3. საპროექტო ტერიტორიის გარემოს ფონური მდგომარეობა

ქობულეთის მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჩრდილოეთ ნაწილში. ის მოქცეულია შავ ზღვას, მდინარე ჩოლოქსა და მესხეთის ქედს შორის. მუნიციპალიტეტს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სამხრეთ-დასავლეთით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სამხრეთით-ქედის მუნიციპალიტეტი, სამხრეთ-აღმოსავლეთით შუახევის მუნიციპალიტეტი, ზღვისპირა ზოლის სიგრძეა 24 კმ. მისი ფართობი — 711,8 კვ.კმ პროექტის არეალი მდებარეობს დასავლეთ ნაწილში მდებარე სანაპირო ზოლის ზონას შორის და აღმოსავლეთით მდებარე მთებს შორის. დასავლეთით შემოიფარგლება ქობულეთის ნაკრძალის მიერ, რომელიც ბრტყელი და ჭაობიანი ტერიტორიაა. მას შუა გადაკვეთს რკინიგზის ხაზი და ქობულეთის შემოვლითი გზა. სარკინიგზო ხაზის დასავლეთით, რელიეფი არის ვაკე. აღმოსავლეთი ნაწილი ოდნავ ბორცვიანია, ზოგადი ფერდობით დასავლეთისკენ. ბევრი პატარა მდინარე სათავეს იღებს აღმოსავლეთიდან მდებარე მთებიდან და მიედინება დასავლეთის მიმართულებით პროექტის არეალში.

3.1 კლიმატი და მეტეოროლოგიური პირობები

მუნიციპალიტეტის ვაკე-დაბლობსა და გორაკ-ბორცვებზე ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ჰავაა. მთებში სიმაღლის მატების შესაბამისად ჰავა ჯერ ზომიერად ნოტიო ხდება, შემდეგ – გრილი. საშუალო წლიური ტემპერატურა იცვლება 13,50 °C-დან (ზღვისპირა ზოლში) - 30 °C-მდე (მთა ხინო). ვაკე-დაბლობ და გორაკ-ბორცვიან ნაწილებში იშვიათად იქმნება თოვლის საფარი. მთებში თოვლის საბურველის სიგრძე ზოგჯერ 5–6 მეტრსაც აღწევს და 6–7 თვის განმავლობაში ჩერდება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხშირია ნისლი.

ცხრილი 4.1.1 ჰაერის ტემპერატურა

სადგური	თვეები												საშუალო წლიური	წლიური ამპლიტუდა
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII		
ქობულეთი	4.8	5.5	7.6	10.9	15.4	19.5	22.4	22.6	19.5	15.4	10.7	6.7	13.4	17.8

ცხრილი 4.1.2. ატმოსფერული ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი °C

მეტეოროლოგიური სადგური	თვეები												წლიური
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
ქობულეთი	-16	-15	-9	-4	-1	6	10	10	4	0	-8	-10	-16

ცხრილი 4.1.3 ატმოსფერული ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი °C

მეტეოროლოგიური სადგური	თვეები												წლიური
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
ქობულეთი	24	27	32	37	37	40	41	41	38	33	28	25	41

ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბუკნარის მიმდებარედ, სასტუმრო კომპლექსისთვის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტი

ცხრილი 4.1.4 ნიადაგის ზედაპირის ტემპერატურა $^{\circ}\text{C}$

მეტეოროლოგიური სადგური	თვეები												წლიური
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
ქობულეთი	4	6	9	16	22	27	29	28	23	16	11	6	16

ცხრილი 4.1.5 ქარის სიჩქარე (მ/წმ-ში)

მეტეოროლოგიური სადგური	თვეები												საშუალო წლიური
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
ქობულეთი	2.7	3.1	3.0	2.8	2.6	2.5	2.6	2.4	2.3	2.4	2.5	2.5	2.6

ცხრილი 4.1.6 მაქსიმალური ატმოსფერული ნალექები (მმ)

მეტეოროლოგიური სადგური	თვეები												წლიური
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
ქობულეთი	446	469	351	262	218	440	435	706	756	606	624	496	3432

ცხრილი 4.1.7 მინიმალური ატმოსფერული ნალექები (მმ)

მეტეოროლოგიური სადგური	თვეები												წლიური
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
ქობულეთი	83	33	14	9	6	21	28	30	49	65	11	39	1533

ცხრილი 4.1.8 ფარდობითი ჰაერის ტენიანობა (%)

მეტეოროლოგიური სადგური	თვეები												საშუალო წლიური
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
ქობულეთი	80	80	79	80	82	80	80	82	84	84	82	80	81

ცხრილი 4.1.9 ჰაერის აბსოლუტური ტენიანობა (მმ)

მეტეოროლოგიურ ი სადგური	თვეები												საშუალო წლიური
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
ქობულეთი	7.2	7.3	8.0	10.4	14.7	19.0	22.2	22.8	18.8	14.2	10.7	8.0	13.6

3.2 გეოლოგიური გარემო

3.2.1 რაიონის ფიზიკური გეოგრაფიული და გეომორფოლოგიური პირობები

საპროექტო ტერიტორია მიეკუთვნება საქართველოს ბელტის დასავლეთის დაძირვის ოლქს, რომელიც ძირითადად აგებულია თანამედროვე ახალ შავზღვიური, ძველ შავზღვიური (ჰოლოცენი) და ზედა მეოთხეული, ახალ ევქსინური პლიაჟური და დელტური ფხვიერი მეოთხეული დანალექებით.

დანალექების დაგროვება დაკავშირებული იყო ტრანსგრესიებსა და რეგრესიებზე. დაახლოებით 30 მ-დან 100 მ-დე დანალექების დაგროვება უკავშირდება ახალევქსინურ რეგრესიას, ხოლო უფრო ახალგაზრდა (15მ-დან-30მ-დე) პონტურ და კოლხურ რეგრესიებს. რაც შეეხება ზედა ფენას 15.0 მ სიღრმემდე დანალექების დაგროვება დაკავშირებულია ლაზურ ტრანსგრესიასთან.

ქობულეთის ვაკე-დაბლობი სამხრეთიდან ისაზღვრება ციხისძირის ვულკანოგენური ქანებით აგებული ჭიუხით, ხოლო ჩრდილოეთიდან მდ. ნატანებით და წარმოადგენს უახლოეს ეპოქაში გაღუნულ ბლოკს, რომელიც ამჟამად განიცდის დაძირვას 2 მმ-მდე წელიწადში.

კოლხეთის დაბლობის არეალში მორფოლოგიურად გამოიყოფა ლაგუნა-ჭაობის ზონა, ვიწრო შელფი და ძველი სანაპირო ზვინული, რომელიც წარმოადგენს ფანაგორიის (ეგრისული ფაზა) რეგრესიის რელიქტს და გრძელდება ნაპირის გასწვრივ 10 კმ-ზე.

გეომორფოლოგიურად ტერიტორია განთავსებულია კოლხეთის დაბლობის დასავლეთ დაბოლოებაზე, აკუმულატიურ ზღვისპირა დაბლობებზე, ზედაპირი სწორია, თითქმის ბრტყელი, ზღვისკენ ოდნავ დახრილი, ნაწილობრივ დაჭაობებული.

3.3 ბიოლოგიური გარემო

ფლორა - ზოგადი დახასიათება

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს აჭარის რეგიონში, რომელიც გამორჩეულია ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნებით. რეგიონში გავრცელებულია 1000-მდე ჭურჭლოვანი მცენარე, რომელთაგანაც მნიშვნელოვანი ნაწილი მესამეული პერიოდის კოლხური ტყის რელიქტია: ბზა, ჭყორი, იელი, მოცვი, სურო, ჯონჯოლი და სხვ. რელიქტური და ენდემური მცენარეებიდან აღსანიშნავია: პონტოური მუხა, მედვედევის არყი, უნგერნის შქერი, პონტოური შქერი, უთხოვარი, კოლხური ჯონჯოლი, თაგვისარა, კავკასიური ხურმა, ჩვეულებრივი წაბლი. რეგიონში გავრცელებული საქართველოს „წითელი ნუსხის“ მცენარეებია: იმერული მუხა, პონტოური მუხა, ჰართვისის მუხა, კოლხური ბზა, უთხოვარი, მედვედევის არყი, წაბლი, ხემარწვა, ლაფანი, უნგერნის შქერი. აჭარის მცენარეული საფარი, განსხვავებული ვერტიკალური სარტყლიანობით ხასიათდება. ამ მხარეში კეცხოველის (1959) მიხედვით, გამოსახულია რამდენიმე სარტყელი: 1) ჰიდროფიტული ბალახეულობისა და ტენიანი ტყეების 0-250 მ ზღ. დონიდან, 2) კოლხეთის მარადმწვანე ქვე-ტყიანი და ლეშამბიანი ტყეების 150-250 მ-დან 450-500 მ-მდე; 3) მთების შუა სარტყელი, რამდენიმე ქვესარტყლით - 500 მ-დან 2000 მ-მდე და 4) მთა-მაღალი, სუბალპური და ალპური სარტყლებით. აღნიშნული სარტყლებისათვის დამახასიათებელია განსხვავებული მცენარეული კომპლექსები. აჭარის ვაკე ზღვისპირა ზოლი კოლხეთის დაბლობის სამხრეთ დაბოლოებას წარმოადგენს. ამ ვაკის სიგანე ქობულეთთან დაახლოებით 2-5 კმ-ის ფარგლებში მერყეობს, სამხრეთისკენ კიდევ უფრო ვიწროვდება და მთის წინა კალთები უშუალოდ ზღვის სანაპიროს გასდევს. აჭარის ზემოხსენებული ვაკე, ისევე როგორც კოლხეთის დაბლობის ყველაზე დაბალი ნაწილი საერთოდ, დაფარული იყო ტყიანი ჭაობების, ბალახნარისა და სფაგნუმიანი ჭაობების მცენარეული კომპლექსებით. მცენარეულობის ეს ტიპები განვითარებულია ჭაობიანი მდელოს, ტორფიან-ჭაობიან, ჭაობიან-ლაშიან და დაჭაობებულ ეწერ ნიადაგებზე. მათი დიდი ნაწილი, განსაკუთრებით ტყიანი ჭაობებით დაკავებული ადგილები ამჟამად დამშრალია. აღნიშნული მცენარეულობის კომპლექსში უფრო დიდ ფართობზე განვითარებული იყო ტყიანი ჭაობები. ამჟამად ამ ტყეების მხოლოდ ნაშთებია შემორჩენილი მცირე ფართობზე. ამ ტიპის ტყეებში გაბატონებულია მურყანი ანუ თხმელა (*Alnus barbata*). ხე-მცენარეებიდან მასთან ერთად ხშირად გვხვდება ლაფანი (*Pterocarya pterocarpa*), ხოლო შედარებით მშრალ ადგილებზე - რცხილა (*Carpinus caucasica*) და იმერული მუხა (*Quercus imeretina*), ქვეტყეში ჩვეულებრივ მონაწილეობს ხეჭრელი (*Frangula alnus*), კუნელი (*Crataegus microphylla*), ძახველი (*Viburnum opulus*) და სხვა. ზოგან, განსაკუთრებით გამეჩხერებულ ადგილებზე ასეთი ტყე გადაბარდულია მაცვლით და ზოგი ლიანა მცენარით, როგორიცაა ეკალიჭი (*Smilax excelsa*), ღვედკეცი (*Periphloca graeca*), კრიკინა (*Vitis sylvestris*), სურო (*Hedera colchica*) და სხვა.

ფაუნა - ზოგადი დახასიათება

რეგიონი ასევე გამოირჩევა ფაუნის წარმომადგენელთა სიმრავლით. აღსანიშნავია: მურა დათვი, რომლის პოპულაცია საკმაოდ სტაბილურია. აქ იშვიათად შეინიშნება მგელი და ფოცხვერი. ტყეებში ბინადრობს შველი. მცირე მუშუშოვრებიდან: თხუნელა, სინდიოფალა, კავკასიური (სპარსული) ციყვი, კურდღელი, მელა, მაჩვი, ტყის კატა, წავი. ლიტერატურული მონაცემების თანახმად, რეგიონში გავრცელებულია ხელფრთიანების 13 სახეობა. 76 რეგიონის ორნითოფაუნაც საკმაოდ მრავალფეროვანია, რადგან ადგილობრივი ფრინველების გარდა გვხვდება სეზონურ მიგრაციებთან დაკავშირებული ფრინველებიც. აღრიცხულია ჩია არწივი, კაკაჩა, ქორი, მიმინო,

ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბუკნარის მიმდებარედ, სასტუმრო კომპლექსისთვის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტი

მარჯანი და ჩვეულებრივი კირკიტა. ღამის მტაცებლებიდან გვხვდება: ზარნაშო, წყრომი და ჭოტი ასევე ოფოფი, სხვადასხვა სახეობის კოდალა, ყორანი, შაშვი, მოლალური და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ ქობულეთის დაცული ტერიტორიები მნიშვნელოვანი ჰაბიტატებია გადამფრენი, მოზუდარი და მოზამთრე წყლის ფრინველთა სახეობებისათვის: აქ შევხვდებით საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილ (5 სახეობა: შავი ყარყატი; მცირე კირკიტა; ბექობის არწივი; თეთრკუდა არწივი; დიდი მყინავი არწივი), ასევე ევროპის მასშტაბით (28 სახეობა) იშვიათ და გადაშენების პირას მყოფ სახეობებს, ასეთებია: ოქროსფერი კვირიონი, ალკუნი, მცირე ჩვამა, ყვითელი ყანჩა, ივეოსი, შავი ყარყატი და სხვ. რეპტილიებიდან გავრცელებულია აჭარული ხვლიკი, მარდი ხვლიკი, ჩვეულებრივი და წყლის ანკარა, სპილენძა და კავკასიური გველგესლა. ამფიბიებიდან გვხვდება მცირეაზიური ტრიტონი, კავკასიური გომბეშო, ვასაკა, მცირეაზიური და ტბის ბაყაყი.

უშუალოდ საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს ანთროპოგენური ზემოქედების მქონე არეალს, სადაც მიმდებარედ წარმოდგენილია საცხოვრებელი სახლები და მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები. პროექტის განხორციელებისას ხე-მცენარეული საფარის გარემოდან ამოღება გათვალისწინებული არ არის.

3.4 დაცული ტერიტორიები

საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არ მდებარეობს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამტკიცებული არცერთი დაცული ტერიტორია.

საპროექტო არეალიდან ქობულეთის დაცული ტერიტორია მდებარეობს დაახლოებით 11 კმ-ის დაშორებით, ჩრდილოეთის მიმართულებით.

საპროექტო ტერიტორია ასევე არ ექვევა ზურმუხტის ქსელის არეალში. უახლოესი ზურმუხტის ქსელის დამტკიცებული საიტი - მტირალა-„GE0000016“ საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია 7.8 კმ მანძილით სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით.

საპროექტო არეალი არ ხვდება ფრინველთა სპეციალური დაცული ტერიტორია SPA და ფრინველებისთვის მნიშვნელოვანი ტერიტორიის IBA საიტების ფარგლებში.

3.5 კულტურული და არქეოლოგიური ძეგლების კვლევის შედეგები

საპროექტო ტერიტორიის ვიზუალური დათვალიერების დროს უშუალოდ ტერიტორიაზე და მის სიახლოვეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი არ დაფიქსირებულა.

უახლოესი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი მდებარეობს საპროექტო არეალიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით, დაახლოებით 345 -ის დაშორებით მდებარეობს.

„ყოფილი პომორსკის აგარაკი - #13117“ - თარიღი: მე-20 საუკუნის დასაწყისი. ორსართულიანი შენობა ზღვისპირა შემადგენლობაზე. ზღვიდან 190 მ-ის მანძილზე. ნაგებობა მართკუთხა გეგმისაა, რიზალიტული წანაზარდებით. სააგარაკო შენობა მოვაკებაზეა აგებული და შემოფარგლულია ხშირი მცენარეულობით. მას ჰქონდა ფილებით მოკირწყლული და კეთილმოწყობილი ეზო მრგვალი აუზებით და ქვის საფეხურებიანი და მოაჯირებიანი ჩასასვლელით ზღვის სანაპიროსკენ. ნაგებობა XIX-ის დასასრულისთვის დამახასიათებელი ეკლექტიკური სტილისაა, აგურისფრად დაფერილი რუსტირებული საფასადო სიბრტყეებითა და მდიდრულად მოჩარჩოებული კარ-სარკმლებით. ასევე, კლასიციტური სვეტნარებით და ქვისა და ლითონის ჭვირული აივნებითა და წინფრებით. სვეტნარის თავზე მეორე სართულის ვერანდა ამოშენებულია. ფასადები მორთულია რთულპროფილიანი ლავგარდანებით და აქცენტირებულია ბაროკოული პარაპეტებით. პარაპეტი კუთხის რიზალიტის თავზე მომტვრეულია. ნაგებობის ოთხივე ფასადი თანაბარმნიშვნელოვანია. აქვს რამდენიმე პარმალული ტიპის შესასვლელი ქვის საფეხურებიანი კიბით. ინტერიერში შემორჩენილია ნაღესი არქიტექტურული დეტალები. ნაგებობა ერთ-ერთი საინტერესო სააგარაკო ტიპის შენობაა საფასადო სტრუქტურითა და მხატვრული გაფორმებით.

4. ზემოქმედების შეფასება

4.1 გარემოზე ზემოქმედების შეფასების -ს მეთოდოლოგიის ზოგადი პრინციპები

წინამდებარე თავში წარმოდგენილია დაგეგმილი საქმიანობის პროცესში გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება. ბუნებრივ თუ სოციალურ გარემოში მოსალოდნელი ცვლილებების შესაფასებლად საჭიროა მოხდეს პროექტის სავარაუდო ზეგავლენის არეალის არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გაანალიზება. მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე განისაზღვრება გარემოში მოსალოდნელი ცვლილებების სიდიდე, გამოვლინდება ამ ზემოქმედების მიმღები ობიექტები - რეცეპტორები და შეფასდება მათი მგრძნობელობა.

4.1.1 ზემოქმედების რეცეპტორები და მათი მგრძნობიარობა

საქმიანობის განხორციელების პროცესში დამატებით მოსალოდნელი ზემოქმედების სახეებია:

- ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობის გაუარესება;
- ხმაურის გავრცელება;
- ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ხარისხზე და სტაბილურობაზე;
- ზემოქმედება წყლის გარემოზე;
- ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე;
- ნარჩენების მართვის პროცესში მოსალოდნელი ზემოქმედება;
- ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილება;
- ზემოქმედება ადგილობრივ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე;
- ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები;
- ზემოქმედება ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე.

4.2 ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება

4.2.1 ზემოქმედების დახასიათება

პროექტის განხორციელებისას, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევები სამშენებლო ეტაპზე დაკავშირებული იქნება გრუნტის დამუშავების პროცესში მტვრის გავრცელებასთან, სპეცტექნიკისა და სამშენებლო მანქანების ძრავებიდან ნამწვი აირების გავრცელებასთან და ასევე, ნარჩენების არასწორ მართვასთან.

საპროექტო არეალიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს ჩრდილოეთით, დაახლოებით 58 მ-ის დაშორებით.

პროექტის სამშენებლო სამუშაოების დაგეგმვისას გათვალისწინებულია შემდეგი ტექნიკური გადაწყვეტები, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედებას, კერძოდ:

- პროექტით არ იგეგმება ბეტონის კვანძის და სხვა ატმოსფერულ ჰაერში ემისიების გაფრქვევის სტაციონარული წყაროების ადგილზე განთავსება. სამშენებლო მასალა, შემოტანილი იქნება მზა სახით;
- პროექტი არ ითვალისწინებს დამატებითი ინფრასტრუქტურის - სამშენებლო ბანაკების მოწყობას;
- პროექტით, დაგეგმილი არ არის დამატებით მისასვლელი გზების მოწყობის სამუშაოები, რადგან პროექტით სრულად იქნება გამოყენებული არსებული ადგილობრივი საავტომობილო გზები;

პროექტით გათვალისწინებული გამწმენდი ნაგებობის მოწყობის პროცესში სამშენებლო ტექნიკის გამოყენება მინიმუმამდე იქნება დაყვანილი, საჭიროებისამებრ სამუშაოები განხორციელდება ხელით. ამასთან, სამუშაოების შესრულება მოხდება საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში და მოკლე პერიოდში.

სამშენებლო სამუშაოები არ მოიცავს ხანგრძლივ და მასშტაბურ პროცესს და გაგრძელდება მაქსიმუმ 4 თვე.

ექსპლუატაციის ეტაპზე, საპროექტო ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების ან მსგავსი დამაბინძურებელი მასალების/ნივთიერებების შენახვა არ განხორციელდება. შესაბამისად საპროექტო ტერიტორიაზე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიის სტაციონარული წყაროები წარმოდგენილი არ იქნება.

საპროექტო გამწმენდი ნაგებობის გამართულად ექსპლუატაციის პირობებში უსიამოვნო სუნის წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის.

როგორც ზემოთ აღინიშნა, პროექტის არც მშენებლობის და არც ექსპლუატაციის ეტაპზე არ იგეგმება სტაციონარული გაფრქვევის წყაროების გამოყენება, შესაბამისად ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის მომზადების საფუძველი არ არსებობს. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი არ არის.

4.3 ხმაურის გავრცელებით და ვიბრაციით გამოწვეული ზემოქმედება

4.3.1 ზემოქმედების დახასიათება

ხმაურის გავრცელებით ზემოქმედების შეფასებისთვის მხედველობაში მისაღებია:

- ხმაურის წყაროებიდან მოსახლეობის დაშორება;
- სამშენებლო სამუშაოების პერიოდი.

პროექტით, დაგეგმილი არ არის ხმაურის და ვიბრაციის გავრცელების სტაციონარული წყაროების გამოყენება. მშენებლობის პერიოდში წარმოქმნილ ხმაურის გავრცელებით და ვიბრაციით გამოწვეული ზემოქმედების შემცირებას უზრუნველყოფს სამუშაოების მცირე მასშტაბები. ამასთან:

- ხმაურის და ვიბრაციის გავრცელების მინიმუმამდე შემცირების მიზნით, ყურადღება მიექცევა ტექნიკის და სატრანსპორტო საშუალებების გამართულობას;
- პროექტით დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები (მითუმეტეს ინტენსიური ხმაურის წარმოქმნილი სამუშაოები) იწარმოებს მხოლოდ დღის საათებში;
- ხმაურის გამომწვევი ძირითადი წყაროების ერთდროულად მუშაობა ნაკლებ სავარაუდოა. ასეთ შემთხვევაშიც კი ეს არ იქნება ხანგრძლივი პროცესი.

საპროექტო ინფრასტრუქტურის სამუშაოების მაქსიმალური პერიოდი შეადგენს დაახლოებით 4 თვეს. საპროექტო ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის დამოუკიდებელი სამშენებლო ბანაკის მოწყობა გათვალისწინებული არ არის. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროექტის მასშტაბის და მცირე სამუშაოების გათვალისწინებით, გამწმენდი ნაგებობის მოწყობის ეტაპზე ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება შეიძლება შეფასდეს როგორც ძალიან დაბალი.

საპროექტო ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობა არის მცირე სიმძლავრისა და ფუნქციონირებს დახურულ სისტემაში, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ხმაურის წარმოქმნისა და გავრცელების შესაძლებლობას. რის გამოც ხმაურის დონე მნიშვნელოვნად შეზღუდულია. შესაბამისად, გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციით გამოწვეული ხმაურის ზემოქმედება მოსახლეობაზე მოსალოდნელი არ არის.

ექსპლუატაციის პერიოდში ხმაურის გამომწვევი შეიძლება იყოს საპროექტო ინფრასტრუქტურის ტექ-მომსახურება, თუმცა ეს სამუშაოები მნიშვნელოვნად დაბალი მასშტაბის იქნება ვიდრე მშენებლობის ეტაპზე. აქედან გამომდინარე, ქვემოთ გაწერილი შემარბილებელი ღონისძიებები საკმარისი იქნება ტექ მომსახურების პროცესში მოსალოდნელი ზემოქმედებების მინიმუმამდე შემცირებისთვის.

4.4 ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე

4.4.1 ზემოქმედების დახასიათება

საპროექტო გამწმენდი ნაგებობის მოწყობა დაგეგმილია ზღვის დონიდან 6.6-7.25 მ სიმაღლეებს შორის. შავი ზღვის სანაპირო ზოლიდან მდებარეობს 60 მ-ის დაშორებით. გამწმენდი ნაგებობის მოწყობა არ გამოიწვევს მნიშვნელოვან ზემოქმედებას გეოლოგიურ გარემოზე. ობიექტის განთავსების ადგილი სტაბილურ გრუნტზეა, არ აღინიშნება მეწყრული ან ეროზიული პროცესების გამოვლინება. ნაგებობის კომპაქტური მოცულობა და მცირე სიღრმის სამშენებლო სამუშაოები გამოირიცხავს გრუნტის მასების დინამიკურ ცვლილებებს. ტერიტორია არ წარმოადგენს გეოლოგიურად აქტიურ ზონას, რის გამოც პროექტის განხორციელებით გრუნტის მექანიკური მახასიათებლების შეცვლა და გეოდინამიკური პროცესების განვითარება მოსალოდნელი არ არის.

უბანი მდგრადია და მშენებლობისათვის დამაკმაყოფილებელ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში იმყოფება. აქვე აღსანიშნავია, რომ საქმიანობა არ საჭიროებს ბუნებრივ ტერიტორიებზე მნიშვნელოვანი მოცულობის ნგრევით სამუშაოებს (ფერდობების ჩამოჭრა, ყრილების მოწყობა და ა.შ.). ამდენად გამწმენდი ნაგებობის სამშენებლო სამუშაოების წარმოების პროცესში რაიმე სახის საინჟინრო-გეოლოგიური გართულება მოსალოდნელი არ არის და განსაკუთრებული შემარბილებელი ღონისძიებების გატარების საჭიროება არ არსებობს.

პროექტით დაგეგმილი გამწმენდი ნაგებობის მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებით ექსპლუატაციის ეტაპზე საპროექტო ტერიტორიაზე გეოდინამიკური პროცესების განვითარება მოსალოდნელი არ არის.

გამწმენდი ნაგებობიდან გაწმენდილი წყლის ჩაშვება მოხდება 35 მ-ის დაშორებით მდებარე ღელეში, რომელსაც ახასიათებს მუდმივი დინება. ზღვის დონიდან დაახლოებით 4 მ სიმაღლეზე. მოცემულ მონაკვეთზე აღნიშნული ღელეს წყალშემკრები აუზის ფართობი შეადგენს 2122 მ² ფართობს. სიგანე შეადგენს დაახლოებით 1 მ-ს, სიღრმე დაახლოებით 60 სმ-ს, ხოლო წყლის მაქსიმალური სიღრმე 25 სმ. პროექტით გამწმენდი ნაგებობიდან ღელეში დაგეგმილია ღელეში 70 მ³ გაწმენდილი წყლის ჩაშვება, რომელიც შეადგენს 0.00081 მ³/წმ-ს. ღელეს მაქსიმალური გამტარუნარიანობა ბევრად აღემატება როგორც საშუალო ნალექით წარმოქმნილ ჩამონადენს, ასევე გამწმენდი ნაგებობიდან ჩაშვებულ წყალს.

ყოველივე ზემოაღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე პროექტის განხორციელებისას ეროზიული პროცესების წარმოება და ღელეს მიმდებარე ტერიტორიების დატბორვა მოსალოდნელი არ არის.

4.5 ზემოქმედება ზედაპირულ წყლებზე

4.5.1 ზემოქმედების დახასიათება

საპროექტო ტერიტორიიდან შავი ზღვის სანაპირო ზოლი დაშორებულია 60 მ-ით, ხოლო დეღე 35 მ მანძილით. პროექტით დაგეგმილი მცირე სამუშაოების გათვალისწინებით მშენებლობის ეტაპზე ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკი შეიძლება შეფასდეს როგორც ძალიან დაბალი.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბერის №440 დადგენილების (წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე) მე-2 მუხლის მიხედვით მდინარეების წყალდაცვითი ზოლის სიგანე აითვლება მდინარის კალაპოტის კიდიდან ორივე მხარეს მეტრებში შემდეგი წესით:

- ა) 25 კილომეტრამდე სიგრძის მდინარეებისთვის - 10 მეტრი.
- ბ) 50 კილომეტრამდე სიგრძის მდინარეებისთვის - 20 მეტრი.
- გ) 75 კილომეტრამდე სიგრძის მდინარეებისთვის - 30 მეტრი.
- დ) 75 კილომეტრზე მეტი სიგრძის მდინარეებისათვის - 50 მეტრი.

აღნიშნული დეღეს სიგრძე საკმაოდ მცირეა (დაახლოებით 200 მ), შესაბამისად, დაცვის ზონა განისაზღვრება 10 მეტრით. საპროექტო გამწმენდი ნაგებობის განთავსება აღნიშნული დეღეს წყალდაცვით ზოლში გათვალისწინებული არ არის. გამწმენდი ნაგებობა განთავსდება აღნიშნული დეღედან დაახლოებით 35 მ-ის დაშორებით. პროექტით წყალჩაშვების მილის მიწის ქვეშ განთავსების სამუშაოები განხორციელდება ხელით. უშუალოდ დეღეს კალაპოტში სამუშაოების წარმოება დაგეგმილი არ არის. შესაბამისად, აღნიშნულ დეღეზე რაიმე სახის ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, გათვალისწინებულია Biotop-ის ტიპის გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, რომლის შედეგადაც ჩამდინარე წყლების ძირითადი პარამეტრები მნიშვნელოვნად უმჯობესდება და სრულად აკმაყოფილებს როგორც საქართველოს მოქმედ ნორმებს, ასევე საერთაშორისო (მათ შორის, ევროკავშირის) სტანდარტებს.

პარამეტრები:

- BOD₅ (ჟანგბადის ბიოლოგიური მოხმარება) — 200–400 მგ/ლ ≤ 25 მგ/ლ;
- COD (ჟანგბადის ქიმიური მოხმარება) — 400–600 მგ/ლ ≤ 125 მგ/ლ;
- მიმდინარე ნივთიერებები (TSS) — 200–400 მგ/ლ ≤ 65 მგ/ლ;
- ამონიუმი (NH₄⁺-N) — 30–50 მგ/ლ ≤ 5 მგ/ლ;
- ფოსფორი (TP) — 5–10 მგ/ლ ≤ 2 მგ/ლ;
- E. coli — ≤ 100 კუო/100 მლ;
- pH — 6,5–8,5 6,0–9,0;
- ცხიმები — 0–25 მგ/ლ ფილის არარსებობა;
- ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები — 0–15 მგ/ლ ≤ 5 მგ/ლ

საპროექტო გამწმენდი ნაგებობა უზრუნველყოფს წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყლების საკმაოდ მაღალი ხარისხით გაწმენდას. ჩამდინარე წყლების ძირითადი დამაბინძურებელი კომპონენტების შემცველობა მნიშვნელოვნად შემცირდება და სრულად დააკმაყოფილებს როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო მოთხოვნებს. შესაბამისად, პროექტის

ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბუკნარის მიმდებარედ, სასტუმრო კომპლექსისთვის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტი

განხორციელების შედეგად, ზედაპირულ წყლებზე ნეგატიური ზემოქმედება მინიმუმამდე იქნება დაყვანილი.

4.6 ზემოქმედება მიწისქვეშა (გრუნტის) წყლებზე

4.6.1 ზემოქმედების დახასიათება

საპროექტო ინფრასტრუქტურის მშენებლობის პროცესში გრუნტის წყალზე ზემოქმედება შეიძლება, იყოს შემდეგი სახის:

- პირდაპირი – მაგ., მიწის სამუშაოების წარმოებისას (ტრანშეის ამოთხრა და სხვ.);
- ირიბი – დაბინძურება ინფილტრირებული ჩამონადენით დაბინძურებული გრუნტის უბნიდან.

აღსანიშნავია, გამწმენდი ნაგებობის ინფრასტრუქტურის მოწყობა არ საჭიროებს ღრმა საძირკვლების მოწყობას. ამასთან, მოწყობა-ექსპლუატაცია ნავთობპროდუქტების და სხვა დამაბინძურებელი ნივთიერების გამოყენებას არ საჭიროებს, შესაბამისად, მიწისქვეშა წყლების პირდაპირი ან ირიბი დაბინძურების საფრთხე მოსალოდნელი არ არის.

საპროექტო გამწმენდი ნაგებობა წარმოადგენს ჰერმეტიკულ კონსტრუქციას, რაც გამორიცხავს დაუმუშავებელი წყლების ნიადაგში და, შესაბამისად, მიწისქვეშა წყლებში მოხვედრას.

გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების დროს გათვალისწინებული იქნება უსაფრთხოების ყველა ზომა, მათ შორის — სისტემის პერიოდული მონიტორინგი და გამართული ფუნქციონირება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით პროექტის განხორციელებისას მიწისქვეშა გრუნტის წყლების დაბინძურების რისკი შეიძლება შეფასდეს როგორც დაბალი.

4.7 ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე

4.7.1 ზემოქმედების დახასიათება

პროექტის მიმდებარე ტერიტორია სრულად ანთროპოგენურია - მიმდებარედ წარმოდგენილია ზღვის სანაპირო ზოლი და მიმდინარეობს სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა. აღნიშნული ტერიტორია მნიშვნელოვნად არის სახეცვლილი ადამიანის საქმიანობის შედეგად, რაც გამოიხატება ბუნებრივი მცენარეული საფარისა და ადგილობრივი ფაუნის შემცირებაში. პროექტით გამწმენდი ნაგებობის მოწყობის ეტაპზე მრავალწლიანი ხე-მცენარეული საფარის გარემოდან ამოღება გათვალისწინებული არ არის, ხოლო ცხოველთა ველური ბუნების სახეობების საბინადრო ჰაბიტატები პრაქტიკულად არ არსებობს. შესაბამისად, რაიმე შემარბილებელი ღონისძიებების გატარება ამ მხრივ საჭიროებას არ წარმოადგენს.

Biotop-ის ტიპის გამწმენდი ნაგებობის მოწყობა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით უზრუნველყოფს ჩამდინარე წყლების ხარისხის მკვეთრ გაუმჯობესებას. შედეგად, ზედაპირულ და მიმდებარე ეკოსისტემებზე ნეგატიური ზემოქმედების რისკი მინიმუმამდე მცირდება. არსებული ანთროპოგენული დატვირთვის ფონზე, პროექტის განხორციელება არსებითად არ დამატებს ზემოქმედებას ბიოლოგიურ გარემოზე და არ გამოიწვევს ბუნებრივი ჰაბიტატების ან ბიომრავალფეროვნების გაუარესებას.

4.8 ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება

4.8.1 ზემოქმედების დახასიათება

დაგეგმილი საქმიანობის მცირე მასშტაბებიდან გამომდინარე გამწმენდი ნაგებობის მოწყობის ეტაპზე ნეგატიური ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილება იქნება ძალზედ ხანმოკლე და დაბალი მნიშვნელობის. მიუხედავად ამისა, საქმიანობის განმახორციელებლის მიერ გატარდება გარკვეული პრევენციული ღონისძიებების გატარება, რაც ძირითადად სამშენებლო მასალების და ნარჩენების ეფექტურ მართვას გულისხმობს. ექსპლუატაციის ეტაპზე ვიზუალური ცვლილება მოსალოდნელი არ არის, რადგან გამწმენდი ნაგებობის და წყალჩამკვეთის მილის მოწყობა მოხდება მიწისქვეშა ტექნიკური გადაწყვეტით.

4.9 ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე, გრუნტის დაბინძურების რისკები

4.9.1 ზემოქმედების დახასიათება

საპროექტო ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა წარმოდგენილი არ არის. ნიადაგის/გრუნტის ხარისხზე ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს ნარჩენების არასწორმა მართვამ (როგორც მყარი, ისე თხევადი), მათ შორის სამშენებლო ტექნიკიდან და სატრანსპორტო საშუალებებიდან საწვავის/საპოხი მასალების შემთხვევითმა დაღვრამ. რომლის შედეგად შეიძლება მოხდეს დამაბინძურებელი ნივთიერებების ღრმა ფენებში გადაადგილების შედეგად მიწისქვეშა/გრუნტის წყლების დაბინძურება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პროექტით დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები განხორციელდება ძალზედ შეზღუდულ ვადებში, საჭირო არ არის დიდი რაოდენობით სამშენებლო ტექნიკის მობილიზება. ამდენად სამუშაოების სიმცირიდან გამომდინარე ნიადაგის დაბინძურების რისკი მინიმალურია.

4.10 ნარჩენების წარმოქმნით და გაგვრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება

2025 წლის 21 თებერვლის საქართველოს მთავრობის დადგენილების (N 44) მიხედვით, ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებული ზოგიერთი ვალდებულების რეგულირების წესის შესაბამისად, 2028 წლის 1 იანვრამდე ფიზიკური ან იურიდიული პირი თავისუფლდება კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავების ვალდებულებისაგან, თუ იგი ახორციელებს სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ დამტკიცებულ საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორით გათვალისწინებული ეკონომიკურ საქმიანობას და წლის განმავლობაში წარმოქმნის 120 კგ ან ნაკლები ოდენობის სახიფათო ნარჩენს.

პროექტის ფარგლებში, გამწმენდი ნაგებობის მოწყობის პროცესში მოსალოდნელია მცირე რაოდენობის სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა, რომელიც გატანილი იქნება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მოცემული პროექტით საქმიანობის განმახორციელებელი თავისუფლდება ნარჩენების მართვის გეგმის მომზადებისგან.

გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის დროს, გამწმენდი ნაგებობის ფუნქციონირებას თან ახლავს ლამის წარმოქმნა, რომელიც წარმოადგენს არასახიფათო ნარჩენს. დაახლოებით წელიწადში ერთხელ გამწმენდი ნაგებობა გაიწმინდება აღნიშნული ტიპის ნარჩენებისგან, შესაბამისი ლიცენზიის მქონე კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე და ტერიტორიიდან გატანილი იქნება სპეციალური ავტომანქანების საშუალებით.

4.11 ზემოქმედება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე

4.11.1 ზემოქმედება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე

პროექტით დაგეგმილია სამშენებლო სამუშაოების განხორციელება მაქსიმუმ 4 თვის განმავლობაში. ამ პერიოდში დასაქმებული იქნება დაახლოებით 5-6 მუშა-პერსონალი, ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობა.

პროექტით სამშენებლო ბანაკების მოწყობა არ იგეგმება. დაქირავებული მუშახელი დაბინავებული იქნება ადგილობრივი მოსახლეობის სასტუმროებში ან ნაქირავებ სახლებში. მართალია აღნიშნული ფაქტი სრულიად ვერ გააუმჯობესებს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების და შესაბამისად, ეკონომიკურ მდგომარეობას, თუმცა დაგეგმილი საქმიანობა მცირედით, მაგრამ დადებით გავლენას იქონიებს დასაქმებული ადამიანების ოჯახების კეთილდღეობაზე.

4.11.2 ბუნებრივი რესურსების გამოყენება

სამშენებლო ტექნიკისა და ტრანსპორტის მიერ მოხმარებული საწვავისა და სტანდარტული მცირე სამშენებლო მასალის გარდა, პროექტის მიზნებისთვის სხვა სახის ბუნებრივი რესურსების (წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება არ იგეგმება. შესაბამისად ბუნებრივ რესურსებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

4.11.3 ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე

პროექტის ფარგლებში დაგეგმილი არ არის დამატებით მისასვლელი გზების მოწყობა, სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში სამშენებლო მასალების და მუშახელის ტრანსპორტირებისათვის გამოყენებული იქნება არსებული ბეტონის საფარიანი საავტომობილო გზები.

პროექტით გათვალისწინებული მცირე სამუშაოების გათვალისწინებით საავტომობილო გზების დატვირთვა და სატრანსპორტო ნაკადების შეზღუდვა მოსალოდნელი არ არის. თუმცა, დამატებით მოხდება შემდეგი შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება, კერძოდ:

- საზოგადოებრივი გზებზე მანქანების გადაადგილების შეძლებისდაგვარად შეზღუდვა;
- მუხლუხიანი ტექნიკის გადაადგილების მაქსიმალური შეზღუდვა;
- საჭიროების შემთხვევაში მოსახლეობისთვის მიწოდებული იქნას ინფორმაცია სამუშაოების წარმოების დროის და პერიოდის შესახებ;
- გზის ყველა დაზიანებული უბნის მაქსიმალური აღდგენა, რათა ხელმისაწვდომი იყოს მოსახლეობისთვის;
- საჭიროების შემთხვევაში საავტომობილო საშუალებების მოძრაობას უნდა აკონტროლებდეს სპეციალურად გამოყოფილი პერსონალი (მედროშე);
- საჩივრების დაფიქსირება/აღრიცხვა და სათანადო რეაგირება.

4.11.4 ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები

გამწმენდი ნაგებობის მოწყობის ეტაპზე, გარდა არაპირდაპირი ზემოქმედებისა, რომლებიც აღწერილია შესაბამის ქვეთავებში. არსებობს ადამიანთა (მოსახლეობა და პროექტის ფარგლებში დასაქმებული პერსონალი) ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ზემოქმედების პირდაპირი რისკები. პირდაპირი ზემოქმედება შეიძლება იყოს: სატრანსპორტო საშუალებების დაჯახება. დენის დარტყმა. სიმაღლიდან ჩამოვარდნა. ტრავმატიზმი სამშენებლო ტექნიკასთან მუშაობისას და სხვ. მშენებლობის ეტაპზე პირდაპირი ზემოქმედების პრევენციის მიზნით მნიშვნელოვანია უსაფრთხოების ზომების მკაცრი დაცვა და მუდმივი ზედამხედველობა. უსაფრთხოების ზომების დაცვა გულისხმობს:

- პერსონალისთვის ტრენინგების ჩატარება უსაფრთხოებისა და შრომის დაცვის საკითხებზე;
- პერსონალის უზრუნველყოფა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;
- ჯანმრთელობისათვის სახიფათო უბნებში და გზებზე შესაბამისი გამაფრთხილებელი, მიმითითებელი და ამკრძალავი ნიშნების დამონტაჟება;
- მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა;
- სატრანსპორტო ოპერაციებისას უსაფრთხოების წესების მაქსიმალური დაცვა, სიჩქარეების შეზღუდვა;
- დასახლებულ პუნქტებში გამავალი გზებით სარგებლობის მინიმუმამდე შეზღუდვა;
- სამუშაო უბნებზე უცხო პირთა უნებართვოდ ან სპეციალური დამცავი საშუალებების გარეშე მოხვედრის და გადაადგილების კონტროლი;
- სიმაღლეზე მუშაობისას პერსონალის დაზღვევა თოკებით და სპეციალური სამაგრებით;
- ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების სააღრიცხვო ჟურნალის წარმოება.
- სატრანსპორტო მოძრაობის მართვის გეგმის შემუშავება და პრაქტიკაში განხორციელება.

4.12 ზემოქმედება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე

4.12.1 ზემოქმედების დახასიათება

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ რაიმე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ გვხვდება და არც ლიტერატურული წყაროებით არ არის აღწერილი. შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის მოწყობის და ექსპლუატაციის პროცესში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ზემოქმედების რისკი პრაქტიკულად არ არსებობს.

საპროექტო სამუშაოების მოწყობის ფაზაზე გრუნტის ექსკავირების პროცესში, რაიმე არტეფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში სამუშაო პროცესი შეჩერდება, ეცნობება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს. მათი წარმომადგენლის გარეშე არ მოხდება რაიმე სამუშაოს წარმოება. არტეფაქტის აღმოჩენის შესწავლისთვის მოწვეული იქნება ექსპერტები და მათი რეკომენდაციის შესაბამისად გაგრძელდება შესაბამისი სამუშაოები.

4.13 კუმულაციური ზემოქმედება

მოცემული ქვეთავის ფარგლებში განხილულია საპროექტო ტერიტორიის და საკვლევი რეგიონის ფარგლებში სხვა პროექტების (არსებული თუ პერსპექტიული ობიექტების) კომპლექსური ზეგავლენა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე, რაც ქმნის კუმულაციურ ეფექტს. კუმულაციური ზემოქმედების შეფასების მთავარი მიზანია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების ისეთი სახეების იდენტიფიცირება, რომლებიც როგორც ცალკე აღებული არ იქნება მასშტაბური ხასიათის, მაგრამ სხვა - არსებული, მიმდინარე თუ პერსპექტიული პროექტების განხორციელებით მოსალოდნელ, მსგავსი სახის ზემოქმედებასთან ერთად გაცილებით მაღალი და საგულისხმო უარყოფითი ან დადებითი შედეგების მომტანია.

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ამჟამად მიმდინარეობს სასტუმრო კომპლექსის სამშენებლო სამუშაოები. გამწმენდი ნაგებობის მოწყობის სპეციფიკისა და მცირე დროის გათვალისწინებით, მშენებლობისთვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი უარყოფითი კუმულაციური ეფექტი მოსალოდნელი არ არის, თუნდაც სამშენებლო სამუშაოები პარალელურად წარიმართოს.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილი არ არის ხე-მცენარეული საფარის გარემოდან ამოღება, შესაბამისად უარყოფითი კუმულაციური ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი არ არის.

პროექტით დაგეგმილი Biotop-ის ტიპის გამწმენდი ნაგებობის გამოყენება, თანამედროვე ტექნოლოგიებითა და საპასპორტო მონაცემების შესაბამისად მართვის პირობებში, უზრუნველყოფს გამდინარე წყლების ხარისხის გაუმჯობესებას და ნარჩენების უსაფრთხო გადამუშავებას, შედეგად კი პროექტი არ ქმნის მნიშვნელოვან დამატებით ზემოქმედებას ეკოსისტემაზე ან ბუნებრივ ჰაბიტატებზე. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით პროექტის განხორციელებით გამოწვეული მნიშვნელოვანი უარყოფითი კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

საპროექტო ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაცია განიხილება როგორც ერთგვარი გარემოსდაცვითი ღონისძიება, რომელიც უზრუნველყოფს სასტუმროს კომპლექსში წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების გაწმენდას. შესაბამისად, პროექტის განხორციელებას თან ახლავს დადებითი კუმულაციური ზემოქმედება.

4.14 ზემოქმედება ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიაზე

საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორია (სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორია) მდებარეობს აღმოსავლეთის მიმართულებით დაახლოებით 4 კმ-ის დაშორებით. თუ გავითვალისწინებთ პროექტის მოცულობას, სპეციფიკას და ამასთანავე მანძილს ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან შეიძლება ითქვას რომ პროექტის განხორციელებისას ზემოქმედება ამ მხრივ მოსალოდნელი არ არის და არ საჭიროებს რაიმე შემარბილებელ ღონისძიებების გატარებას.

4.15 ზემოქმედება ჭარბტენიან ტერიტორიებზე

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ჭარბტენიანი ტერიტორიები წარმოდგენილი არ არის. შესაბამისად, პროექტის სპეციფიკიდან და მასშტაბიდან გამომდინარე ზემოქმედება ჭარბტენიან ტერიტორიებზე მოსალოდნელი არ არის.

4.16 საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი

პროექტის განხორციელება არ წარმოადგენს მაღალ რისკს მასშტაბური ავარიის ან კატასტროფის განვითარების რისკის შემცველ პროექტს. გამწმენდი ნაგებობის მართვა განხორციელდება საპასპორტო მონაცემებისა და თანამედროვე მართვის სისტემების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სტაბილურ და უსაფრთხო ექსპლუატაციას. ამ პირობებში ნებისმიერი უკონტროლო მოვლენა მინიმუმამდეა დაყვანილი. გარემოსდაცვითი თვალსაზრისით, სისტემის გამოყენება გადადის წყლის ხარისხის კონტროლზე, ნარჩენების უსაფრთხო გადამუშავებაზე და მიმდებარე ეკოსისტემებზე ზემოქმედების მინიმიზაციაზე, რაც კიდევ უფრო ამცირებს ნეგატიური ეფექტების შესაძლებლობას.

4.17 ზემოქმედება შავი ზღვის სანაპირო ზოლზე

პროექტის განხორციელების შედეგად, შავი ზღვის სანაპირო ზოლზე ზემოქმედება იქნება მინიმალური. პროექტით დაგეგმილი გამწმენდი ნაგებობის გამოყენება უზრუნველყოფს გამდინარე წყლების ხარისხის მკაცრ კონტროლს და მათ შესაბამისობას როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო სტანდარტებთან. დამუშავებული წყლების ჩაშვება სანაპირო ზოლში არ გამოიწვევს ზღვის წყლის ხარისხის გაუარესებას, არ შექმნის საფრთხეს სანაპირო ეკოსისტემებისთვის და არ დაარღვევს სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს.

გამწმენდი ნაგებობის გამართული ექსპლუატაციის პირობებში, პროექტი არ წარმოადგენს შავი ზღვის სანაპირო ზოლის ზემოქმედების წყაროს.

4.18 შესაძლო ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება

საქმიანობის სპეციფიკის, მასშტაბების და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

4.19 ზემოქმედება შესაძლო ხარისხზე და კომპლექსურობაზე

მოცემული პროექტი თავისი მასშტაბებიდან გამომდინარე არ ხასიათდება გარემოზე მკვეთრად გამოხატული უარყოფითი ზემოქმედებით. თუმცა, გარკვეული გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შესაძლო რისკების (ავარიული დაღვრები, ტერიტორიის ნარჩენებით დაბინძურება, მომსახურე პერსონალის ტრავმატიზმი და სხვა.) თავიდან აცილება/შემცირებისათვის შემარბილებელი ღონისძიებები მოცემულია ქვემოთ:

ადამიანთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია უსაფრთხოების ნორმების მკაცრი დაცვა და მუდმივი ზედამხედველობა. ასევე, საჭიროების შემთხვევაში შემდეგი შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება:

- პერსონალისთვის ცნობიერების ამაღლება უსაფრთხოებისა და შრომის დაცვის საკითხებზე;
- ტერიტორიაზე სტანდარტული სამედიცინო ყუთების არსებობა;
- ტექნიკის და სატრანსპორტო საშუალებების მიერ უსაფრთხოების წესების მაქსიმალური დაცვა;
- ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების სააღრიცხვო ჟურნალის წარმოება.

გარემოსდაცვითი შემარბილებელი ღონისძიებები პროექტის განხორციელების ეტაპებზე (საჭიროების შემთხვევაში) შემდეგია:

- გამოყენებული ტექნიკა და სატრანსპორტო საშუალებები ტექნიკურად უნდა იყოს გამართული და აკმაყოფილებდეს უსაფრთხოების მოთხოვნებს, რისთვისაც საჭიროა მათი ტექნიკური მდგომარეობის შემოწმება სამუშაოს დაწყების წინ;
- გამოყენებულმა სატრანსპორტო ტექნიკამ უნდა იმოძრაოს ოპტიმალური სიჩქარით (განსაკუთრებით გრუნტის გზებზე).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული ნეგატიური ზემოქმედება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მნიშვნელოვან რისკებთან დაკავშირებული არ იქნება და სწორი გარემოსდაცვითი მართვის პირობებში შესაძლებელი იქნება ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირება/აღმოფხვრა.

5. გამოყენებული ლიტერატურა

- [1] ლ.მარუაშვილი. საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია;
- [2] სამშენებლო ნორმების და წესების - „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01-09) _ დამტკიცების შესახებ, 2009 წ;
- [3] დაპროექტების ნორმების - „სამშენებლო კლიმატოლოგია“-დამტკიცების შესახებ;
- [4] ე.გამყრელიძე. (2004). საქართველოს ტერიტორიის ტექტონიკური დანაწევრების რუკა;
- [5] საქართველოს გეომორფოლოგიური დარაიონების რუკა;
- [6] ბ.ზაუტაშვილი. საქართველოს ჰიდროგეოლოგია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.
- [7] [https://aves.biodiversity-georgia.iliauni.edu.ge/spa-n-5/;](https://aves.biodiversity-georgia.iliauni.edu.ge/spa-n-5/)
- [8] საქართველოს წითელი ნუსხა, 2014 წელის 20 თებერვალი;
- [9] საქართველოს ბიომრავალფეროვნების ბაზა;
- [10] The IUCN Red List of Threatened Species. (2019).
- [11] საქართველოს ფლორა, მცენარეთა სარკვევები. საქართველოს მცენარეთა სახეობრივი ნუსხები (Ketzkhoveli & Gagnidze, 1971-2011; Czerepanov, 1995; Gagnidze, 2005).
- [12] საქართველოს წითელი ნუსხა, 2014 წელის 20 თებერვალი <https://goo.gl/isUraC>

დანართი 1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან - ს/კ: 20.46.06.455



მინის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 20.46.06.455**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882025205588 - 20/02/2025 16:05:15

მომზადების თარიღი
20/02/2025 17:52:36

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ქობულეთი	ციხისძირი			ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
20	46	06	455	დაზუსტებული ფართობი: 7818.00 კვ.მ.
მისამართი: მუნიციპალიტეტი ქობულეთი, სოფელი ბუკნარი				ნაკვეთის წინა ნომერი: 20.46.06.344;

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882017916840, თარიღი 29/09/2017 22:54:39
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 04/10/2017

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ნასყიდობის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი: 29/09/2017, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:

შპს ბლექ სი რიზორთ, ID ნომერი: 405177936

მესაკუთრე:

შპს ბლექ სი რიზორთ

აღწერა:

იპოთეკა

- 1) განცხადების რეგისტრაცია ნომერი **892024106690** თარიღი **23/07/2024 16:18:39**
- იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება "საქართველოს ბანკი" 204378869;
საგანი: დაზუსტებული ფართობი: 7818.00 კვ.მ.;
- იპოთეკის ხელშეკრულება, რეესტრის ნომერი **NMA0001934732**, დამოწმების თარიღი **23/07/2024**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

უფლების რეგისტრაცია:
თარიღი **29/07/2024**

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

შეზღუდული სარგებლობა

- განცხადების რეგისტრაცია ნომერი **882017589856** თარიღი **04/07/2017 15:26:20**
- საგანი: მინის ნაკვეთი ფართობი 924 კვ.მ. დატვირთულია სერვიტუტის უფლებით;
- წერილი, რეესტრის ნომერი **N12/33292**, დამოწმების თარიღი **04/07/2017**, სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"
- წერილი **N13/69581**, დამოწმების თარიღი **20/12/2023**, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

უფლების რეგისტრაცია:
თარიღი **04/07/2017**

ვალდებულება

- განცხადების რეგისტრაცია ნომერი **882017916840** თარიღი **29/09/2017**
- გამყიდველი: სახელმწიფო;
მყიდველი: შპს ბლექ სი რიზორთ 405177936;
საგანი: დაზუსტებული ფართობი: 7818.00 კვ.მ. ;
მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ხელშეკრულებით ნაკისრი პირობები;

ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბუკნარის მიმდებარედ, სასტუმრო კომპლექსისთვის ჩამდინარე წყლების გაწმენდი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტი

22:54:39 **ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:29/09/2017 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ,**
უფლების რეგისტრაცია: **(რეგისტრაციის ნომერი: 882022469206) ხელშეკრულება სსიპ- სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს "ბლექ სი რიზორტს" შორის 2017 წლის 29 სექტემბერს გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე , დამოწმების თარიღი:27/06/2022 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,**
თარიღი 04/10/2017

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

- ფიზიკური პირის მიერ არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული ქონების/აქტივის მინოდებით ნამეტი შემოსავლის მიღების შემთხვევაში ფიზიკური პირი ვალდებულია არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს დეკლარაცია საშემოსავლო გადასახადის შესახებ და ამავე ვადაში გადაიხადოს კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი.
- საგადასახადო წლის განმავლობაში გადახდის წყაროსთან დაუკავებლად 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების სარეგისტრაციო მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს.
- აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საგადასახადო კოდექსის XL თავის მიხედვით.
- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

დანართი 2. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B25016388, 07/02/2025 17:38:18

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ბლექ სი რიზორთ
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	405177936
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	25/11/2016
მარეგისტრირებული ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ნეკერჩხლის ქუჩა, N 6

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარობის პროცესის
მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

მმართველობის ორგანო

- საერთო კრება
- დირექტორი

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი
ირაკლი მატუა, 51001004366 ,ერთპიროვნული

კაპიტალი

ნებადართული კაპიტალი	არ არის განსაზღვრული
განთავსებული კაპიტალი	არ არის განსაზღვრული
გამოშვებული წილი	არ არის განსაზღვრული
განთავსებული წილი	100 ერთეული

პარტნიორები

კლასის ტიპი: /კლასის გარეშე/, რაოდენობა: 100, ნომინალური ღირებულება: არ არის განსაზღვრული

მესაკუთრე	რაოდენობა	წილი	წილის მმართველი
სააქციო საზოგადოება ლისი ლეიქ დეველოპმენტ, 404857534	100	100%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოდრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: **R2401497138 25/07/2024 09:58:58**
კრედიტორი : სს საქართველოს ბანკი (საქართველო) 204378869
მესაკუთრე : სს ლისი ლეიქ დეველოპმენტ (საქართველო) 404857534
საგანი: არამატერიალური ქონებრივი სიკეთე : საფირმო სახელწოდება: შპს ბლექ
სი რიზორტ; სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება; საიდენტიფიკაციო ნომერი: 405177936; წილი: 100%
საფუძველი: გირავნობის ხელშეკრულება, PA0001934749, საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტო, 23.07.2024

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბუკნარის მიმდებარედ, სასტუმრო კომპლექსისთვის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტი

- ფიზიკური პირის მიერ არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული ქონების/აქტივის მიწოდებით ნამეტი შემოსავლის მიღების შემთხვევაში ფიზიკური პირი ვალდებულია არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს დეკლარაცია საშემოსავლო გადასახადის შესახებ და ამავე ვადაში გადაიხადოს კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი.
- საგადასახადო წლის განმავლობაში გადახდის წყაროსთან დაუკავებლად 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს.
- აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საგადასახადო კოდექსის XL თავის მიხედვით.
- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405 405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405 405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405 405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბუკნარის მიმდებარედ, სასტუმრო კომპლექსისთვის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტი

დანართი 3. შპს „ბლექ სი რიზორტ“-ს და შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“-ს შეთანხმების წერილი ხაზობრივი ნაგებობის ს/კ: 20.00.333 გადატანის თაობაზე



O-SGG-CSH-LT-2023-5-11/054473338



577 978 394 +
1105 15116 მ. მსხვილიძე
SOCAR
GEORGIA GAS

SOCAR Georgia Gas LTD
Regional office of Adjara
Gogebashvili (Baku) Str.46
Georgia, Batumi, 6000
Tel: 16 114

E-mail: socar_gas@socar.ge
www.mygas.ge
www.socargas.ge

შპს „ბლექ სი რიზორტ“-ის დირექტორს
ბატონ სანდრო კაკალაშვილს

№ O-SGG-CSH-LT-2023-5-11/05
11.05.2023

ბატონო სანდრო

თქვენი, მიმდინარე წლის 21 აპრილის #I-SGG-K-LT-2023-4-20/16 წერილის პასუხად, რომელიც ეხებოდა ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელ ბუკნარში საკადასტრო კოდზე #20.46.06.344, შპს „ბლექ სი რიზორტ“-ის მიერ დაგეგმილი სასტუმრო-საცხოვრებელი კომპლექსის გამო, ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის გადატანის საკითხს გაცნობებთ, რომ კომპანია არ არის წინააღმდეგი წერილში მითითებული სამუშაოები განახორციელოთ თქვენი ხარჯებით, ჩვენთან შეთანხმებული პროექტის შესაბამისად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოები განხორციელდება ჩვენი კომპანიის უფლებამოსილი წარმომადგენლის მეთვალყურეობის ქვეშ.

ამასთან, თქვენვე უნდა უზრუნველყოთ აღნიშნული სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებული, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნებართვების და/ან შეთანხმებების მოპოვება (ჩვენი კომპანიის მიერ გაცემული შესაბამისი რწმუნებულების საფუძველზე).

საკონტაქტო პირი: ბატონი გოჩა ჯინჭარაძე, ქობულეთის ს/კ მენეჯერი ტ.: 577 550 586

პატივისცემით,
აჭარის რეგიონალური ოფისის
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ვ.ბერიშვილი

eka. bakuradze @ lisi.ge